

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

მაგისტრატურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, „ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები“-ს სამაგისტრო პროგრამის განხორციელების წესს.
2. მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირებასა და ტექნოლოგიებში არის უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, რომელიც მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას და ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

მუხლი 2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება

1. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.
2. უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს` უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;

მუხლი 3. მაგისტრატურაში მიღების წესი

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია სამაგისტრო გამოცდის შედეგები, რომელიც მოიცავს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ საერთო სამაგისტრო გამოცდას და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდას/გამოცდებს, რომელიც გულისხმობს სამოტივაციო წერილი/ესსესა და რეზიუმეს წარმოდგენას. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოტივაციო წერილი/ესსე შეფასდება მაქსიმალური 60 ქულით, მინიმალური ზღვარი 31 ქულა. კანდიდატის რეზიუმე შეფასდება მაქსიმალური 40 ქულით, მინიმალური ზღვარი 21 ქულა.

სამოტივაციო წერილი/ესსეს შეფასების კრიტერიუმებია:

- ✓ რატომ გადაწყვიტა კანდიდატმა სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება;
- ✓ რატომ აირჩია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი;
- ✓ როგორ დაეხმარება გამოცდილება ბიზნესის ადმინისტრირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების პროგრამაზე სწავლისას;
- ✓ რისი მიღწევა სურს კანდიდატს;
- ✓ როგორ გამოიყენებს მიღებულ ცოდნას მომავალში;
- ✓ რეალური ქეისი - სფეროში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზები.

თითოეული კომპონენტი შეფასდება მაქსიმალური 10 ქულით.

9-10 ქულა - კომპონენტი შესრულებულია სრულყოფილად

7-8 ქულა - კომპონენტი შესრულებულია კარგად

5-6 ქულა - კომპონენტი შესრულებულია დამაკმაყოფილებლად

3-4 ქულა - კომპონენტი შესრულებულია ნაწილობრივ

1-2 ქულა - კომპონენტი შესრულებულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით

0 ქულა - კომპონენტი არ არის შესრულებული

რეზიუმე შეფასდება ორი კომპონენტის მიხედვით:

- ✓ კანდიდატის განათლება - 30 ქულა
- ✓ სამუშაო გამოცდილება - 10 ქულა

განათლება - სარეიტინგო ქულა - 20 ქულა			
სრული აკადემიური ხარისხი	საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლება	10 ქულა	1 ქულა
	საქართველოში მიღებული განათლება	5 ქულა	1 ქულა
	გაცვლითი პროგრამები	5 ქულა	1 ქულა
	სასწავლო ტრენინგები	5 ქულა	1 ქულა
	სემინარებში და კონფერენციებში მონაწილეობა	5 ქულა	1 ქულა
სამუშაო გამოცდილება - სარეიტინგო ქულა - 10 ქულა			
		ბიზნესის/ეკონომიკის სფერო	
სამუშაო გამოცდილება	2 წელზე მეტი	3 ქულა	----
	2 წელზე ნაკლები	2 ქულა	----
	სამუშაო სტაჟირება	1 ქულა	----
	პროექტებში მონაწილეობა	1 ქულა	----
	სამუშაო ტრენინგები	1 ქულა	----
	მოხალისეობა	2 ქულა	

2. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა წარმოებს წინასწარ გამოცხადებული კონკურსის წესით.
3. მაგისტრანტობის კანდიდატმა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინოს განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს: ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (პასპორტი) და მისი ასლი; ბ. დაბადების მოწმობა და მისი ასლი; გ. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის დამოწმებული ასლი; დ. ერთი რეკომენდაციის წერილი; ე. 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ); ვ. მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულისათვის); ზ. პროგრამის შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის დედანი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან (მისი არსებობის შემთხვევაში), ან მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდიდან (www.naec.ge).
4. ჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატის განცხადება არ მიიღება.

მუხლი 4. მაგისტრატურაში ჩარიცხვა

1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმატებით გაივლის კონკურსს, ჩარიცხება სამაგისტრო პროგრამაზე. ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესისა და მობილობის შედეგების შესაბამისად.
2. პირი მაგისტრატურაში ჩარიცხება ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
3. მაგისტრატურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში უნივერსიტეტსა და მაგისტრანტს შორის იდება ფინანსური და სასწავლო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.
4. მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მაგისტრანტი სარგებლობს `უმაღლესი განათლების შესახებ` საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებებით, იგი ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და სხვა შიდა საუნივერსიტეტო აქტები, შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობები.

მუხლი 5. სემესტრული რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება

1. მაგისტრანტი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი სემესტრული ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ.
2. მაგისტრანტის მიერ სემესტრული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.
3. მაგისტრანტს, რომელიც არ გაივლის სემესტრულ რეგისტრაციას, უჩერდება სტუდენტის სტატუსი და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას

მუხლი 6. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

1. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება ხდება: ა. რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირის ან პირთა ჯგუფის მიერ; ბ. პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად.
2. სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს (თანახელმძღვანელობს) ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. სამაგისტრო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) ფაკულტეტის დეკანი განსახილველად წარუდგენს რექტორს.
4. რექტორის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სამაგისტრო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო,
5. სამაგისტრო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსები.
6. სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს: ა. უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი; ბ. პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი; გ. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
7. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი) უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამის, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებაზე კონტროლს, აგრეთვე პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობას.
8. სამაგისტრო პროგრამა უნდა მოიცავდეს: ა. სამაგისტრო პროგრამის დასახელებას; ბ. მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს; გ. ინფორმაციას (CV) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის შესახებ; დ. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათებას (სამაგისტრო პროგრამის მიზანი და აქტუალობა, მოსალოდნელი შედეგები, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენცია და უნარ ჩვევები, დასაქმების სფეროები); ე. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებს; ვ. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას; ზ. პროგრამაში ჩართული ყველა სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსს.

მუხლი 7. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

1. მაგისტრატურაში სწავლა მიმდინარეობს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტს, ხოლო სემესტრში - 30 კრედიტს.
3. მაგისტრატურაში სასწავლო წელი აგებულია 4 სემესტრიანი პრინციპით.
4. სამაგისტრო პროგრამა უნდა შედგებოდეს სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისგან და სრულდებოდეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებითა და მისი დაცვით.
5. სასწავლო კომპონენტების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

მუხლი 8. სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო საგნად წარმოდგენილია კვლევის მეთოდები (6 ECTS) და მენეჯერული სტატისტიკა (5 ECTS) ასევე, მარკეტინგის მენეჯმენტის (5 ECTS) სავალდებულო კურსში ინტეგრირებულია მარკეტინგული კვლევის კომპონენტი. ეს საგნები ჩამოუყალიბებს მაგისტრანტს ბიზნესისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების საჯაროდ წარმოჩენისა და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარს. მაგისტრანტი სავალდებულო წესით ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS), რომლის ფარგლებშიც მუშაობს კვლევით კომპონენტზე.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა

1. სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, წარმოებს მაგისტრანტის მიერ სწავლების მესამე სემესტრის დაწყებიდან. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია წარმოებს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან.
2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელი ან რეცენზენტი შეიძლება იყოს:
 - პროგრამაში ჩართული პროფესორი/პროფესორები;
 - მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში დოქტორის ან მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის/მომიჯნავე საკითხების კვლევის გამოცდილება;
 - მოწვეული პირი, რომელსაც აქვს შესაბამის მიმართულებაში ან დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხი და პრაქტიკული გამოცდილება (არანაკლებ 5 წლისა);
 - შესაბამისი მიმართულების ან დარგის დოქტორანტი, რომელსაც აქვს დაცული პროსპექტუსი ან სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი პუბლიკაცია;
 - შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი და ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში შემავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.

მუხლი 10. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი

1. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი, მაგისტრანტთან ერთად, დისკუსიის შედეგად შეარჩევს მაგისტრანტისათვის საინტერესო საკვლევ თემას. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შერჩეული მიმართულებით ფართო და საფუძვლიანი ცოდნა.

ასევე, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი, მაგისტრანტთან ერთად ადგენს სამაგისტრო ნაშრომის გეგმას, ეხმარება მას ლიტერატურის შერჩევაში. ხელმძღვანელი ეტაპობრივად ამოწმებს თემაზე მუშაობის პროცესს, გამოთქვავს შენიშვნებს და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში ეხმარება მაგისტრანტს ნაშრომის კორექტირებაში.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელი უარს აცხადებს ხელმძღვანელობაზე, იგი ვალდებულია ამის შესახებ არგუმენტირებული და დასაბუთებული განცხადებით მიმართოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, მაგრამ არა უგვიანეს თემის დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომი

1. სამაგისტრო ნაშრომი შესაძლებელია შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად (მაქსიმუმ 3 მაგისტრანტი).

2. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შედგებოდეს შემდეგი აუცილებელი კომპონენტებისაგან:

- სატიტულო ფურცელი
- სარჩევი
- აბსტრაქტი
- პრობლემის დასმა
- ჰიპოთეზა ან/და კვლევის კითხვა
- კვლევის უპირატესობები
- კვლევის შეზღუდვები
- საკვლევი ჯგუფი
- ლიტერატურის მიმოხილვა
- მონაცემების სტატისტიკური ანალიზი
- შედეგების ინტერპრეტაცია და დისკუსია
- რეკომენდაციები
- დასკვნები
- ბიბლიოგრაფია

ნაშრომის შესრულების დროს, მაგისტრანტმა უნდა დაიცვას მოთხოვნები რომელიც გაწერილია შემდეგ სახელმძღვანელოში:

<http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2588.pdf>

ნაშრომის სტილსა და სხვა ტექნიკურ დეტალებზე, საფუძვლიან ცოდნას, სტუდენტი მიიღებს კვლევის მეთოდების სასწავლო კურსსა და სამაგისტრო ხელმძღვანელისაგან. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდეგ, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ნაშრომის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას შემფასებლის რეცენზენტის დანიშვნის შესახებ.

2. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს მაგისტრანტის ხელმძღვანელი.

3. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი კომპონენტებით:

1. ხელმძღვანელის შეფასება (პროექტის შუალედური ანგარიშები 1,2)- 34 ქულა (მინიმალური 17 ქულა)
2. რეცენზენტის შეფასება – 36 ქულა (მინიმალური 18 ქულა)
3. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა - 30 ქულა (მინიმალური 16 ქულა)

შენიშვნა : ფორმები წარმოდგენილია დანართის სახით 1, 2, 3

4. იმისათვის, რომ სტუდენტთა ჯგუფი ზეპირ დაცვაზე გავიდეს, მან პირველი და მეორე კომპონენტით გათვალისწინებული მინიმალური ქულები უნდა მიიღოს. თუ იგი მინიმალურ ქულას ვერ აგროვებს რომელიმე კომპონენტში, სტუდენტთა ჯგუფმა ხელახლა უნდა შეასრულოს სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი.

5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი/სტუდენტთა ჯგუფი სამივე კომპონენტში ჯამურად აგროვებს 41-50 ქულამდე, მან ხელახლა უნდა დაიცვას ნაშრომი მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე. დაცვებს შორის მინიმალური პერიოდი უნდა იყოს 10 დღე.

6. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და ზეპირი სამაგისტრო გამოცდა/დაცვა ითვლება ჩაბარებულად, თუ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის ქულათა ჯამი მაქსიმალური შეფასების 50%-ზე მეტია.

მუხლი 13. ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის თარიღისა და სპეციალური კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

1. საჯარო დაცვის თარიღს და კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის სულ მცირე 3 წევრისაგან.

3. სპეციალური კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი, ასევე მოწვეული დარგის სპეციალისტი, რომ ლის კომპანიასთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

4. სამაგისტრო ხელმძღვანელის დასწრება არ არის სავალდებულო.

მუხლი 14. საჯარო დაცვაზე მაგისტრი ან მაგისტრანტები პრეზენტაციის სახით წარმოადგენენ კვლევის შედეგებს, რეკომენდაციებს და სტატისტიკური მონაცემების მოკლე ანალიზს.

2. საჯარო დაცვის ხანგრძლივობა ერთ პროექტზე არ უნდა აღმატებოდეს 30 წუთს.

3. დამსწრე საზოგადოებას და კომისიის წევრებს ეძლევათ 10 წუთი კითხვებისა დასასმელად.
- მუხლი 15. საჯარო დაცვაზე მაგისტრანტის/მაგისტრანტების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია ფასდება 30 ქულით. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა მოცემული სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასების ფორმაში (დანართი # 3)
- მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის დადებითი შეფასების შედეგები
1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის ჩაბარების შემთხვევაში კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
 2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანი. დიპლომს დაესმის უნივერსიტეტის ბეჭედი.
 3. იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება მაგისტრის აკადემიური ხარისხის ერთობლივად მინიჭება უნივერსიტეტთაშორისი შეთანხმების საფუძველზე, ამ შეთანხმების დებულებებს აქვთ უპირატესი ძალა.
- მუხლი 17. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის უარყოფითი შეფასების შედეგები
1. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ/იმავე სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება.
- მუხლი 18. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის ბათილობა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და ზეპირი სამაგისტრო გამოცდის/დაცვის ბათილად გამოცხადების, სამაგისტრო დიპლომის ჩამორთმევისა და მინიჭებული ხარისხის გაუქმების საფუძველია აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატი) გამოვლენა.